# ეთნიკური უმცირესობების მიერ აღქმული გამოწვევები ზრუნვის სააგენტოში მომსახურების მიღებისას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

ეკატერინა კაპლანიან

*ნაშრომი შესრულებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინა კაპლანიან

2024 წელი

# აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია იმის დადგენა, თუ რა გამოწვევები აქვთ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს  სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრის ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონული წარმომადგენლობაში ეთნიკურ უმცირესობებს და რა სირთულეებს აწყდებიან მომსახურების მიღებისას. ამასთან, ნაშრომში გამოკვლეულია, თუ რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან სირთულეები სახელმწიფო ენის მცოდნე მოსახლეობასა და სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისთვის.

წინამდებარე ნაშრომის კიდევ ერთი მიზანია ეთნიკური უმცირესობების მიმართ სოციალური მუშაკის როლის დადგენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩატარდა თვისებრივი კვლევა როგორც მომსახურებების მიმღებ ბენეფიციარებთან, ასევე სამცხე-ჯავახეთში მომუშავე სოციალურ მუშაკებთან, რომლებიც ძირითადად ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობენ. კვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი გამოწვევები, რასაც აწყდებიან ეთნიკური უმცირესობები, ესენია: სახელმწიფო ენის არ ცოდნასთან დაკავშირებული სირთულეები, რეგიონში სერვისების ნაკლებობა, სერვისების ნაკლებობის გამო სხვა ქალაქებში ჩასვლის სირთულეები და სხვა. ამასთან, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური მუშაკების ჩართულობა ეთნიკურ უმცირესობებთან საკვანძოდ მნიშვნელოვანია, რათა მათ შეძლონ არსებული მომსახურებების უკეთ გამოყენება.



**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ეთნიკური უმცირესობები, სომხები, სამცხე-ჯავახეთი, სოციალური მომსახურებები, სოციალური მუშაობა, ინტეგრაცია.

## Abstract

The main goal of the master's thesis is to determine the challenges faced by the ethnic minorities in the Ninotsminda, Akhalkalaki and Akhaltsikhe regional offices of the Samtskhe-Javakheti Regional Center of the Victims' Assistance Agency of State Care and Trafficking and what difficulties they face when receiving services. In addition, the paper investigates how different the difficulties are for the population who know the state language and the citizens who do not know the state language.

Another goal of this paper is to determine social workers' role towards ethnic minorities. To achieve the mentioned goal, qualitative research was conducted both with the beneficiaries of the services and with the social workers working in Samtskhe-Javakheti, who mainly work with ethnic minorities. As a result of the research, the main challenges faced by ethnic minorities were determined, namely: difficulties related to not knowing the state language, lack of services in the region, difficulties in traveling to other cities due to lack of services, and others. However, the research revealed that the involvement of social workers with ethnic minorities is key to enabling them to make better use of existing services.

**Keywords:** Ethnic minorities, Armenians, Samtskhe-Javakheti, social services, social work, integration.

## მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორს ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, სასწავლო პროცესის და ნაშრომის მომზადებაში გაწეული შრომისა და დახმარებისთვის.